3478-08-2-201709051709

N 08/3478
05/09/2017

საქართველოს რეფორმების ასოციაციას

თქვენი, მიმდინარე წლის 22 აგვისტოს #345 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად 2011-2016 წლებში, ჯამურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ ენერგეტიკის სფეროში შეადგინა 1,059,000,000.00 აშშ დოლარი. ასევე გაცნობებთ, რომ ენერგეტიკულ სექტორში მოქმედი კომპანიების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2016 წლის მონაცემებით, ადგილობრივი ბანკებიდან მოზიდული ფინანსება ენერგეტიკულ სექტორში ინვესტიციების განხორციელების მიზნით დაახლოებით შეადგენს 41,000,000.00 აშშ დოლარს.

რაც შეეხება, თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას 2013-2014 წლებში ენერგეტიკის სფეროში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან რამდენი იყო დაკონტრაქტებული 2012 წლის ნოემბრამდე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ფორმით ინფორმაცია ენერგეტიკის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის სახით დაცული არ არის.

ასევე გაცნობებთ, რომ დღეისათვის მიმდინარეობს 16 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი, მათი ჯამური ინვესტიცია დაახლოებით 1,400,000,000.00 აშშ დოლარს შეადგენს. ლიცენზირების ეტაპზე იმყოფება 20 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი - ჯამური ინვესტიცია 350,000,000.00 აშშ დოლარი. ასევე, ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა 21 ჰიდროელექტროსადგურის - ჯამური ინვესტიცია 1,500,000,000.00 აშშ დოლარი.

რაც შეეხება, თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას 2017-2018 წლებში დაგეგმილ ინვესტიციებთან დაკავშირებით, გაცნობებთ რომ ენერგეტიკული პროექტების განხორციელების გრძელვადიანი ბუნების გათვალისწინებით და მათი საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების სირთულიდან და განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

ირაკლი თავართქილაძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(დეპარტამენტის უფროსი)

იურიდიული დეპარტამენტი